საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2679 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და არ გავრცელდეს:

ა) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „დაავადებათა

კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის“ (პროგრამული კოდი: 35 01 03) ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 45 ერთეულით;

ბ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „ტუბერკულოზის მართვის (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი)“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 35 03 02 07 02) ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 31 ერთეულით;

გ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „C ჰეპატიტის მართვის (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი)“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 35 03 02 12 02) ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 14 ერთეულით;

დ) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა „პროფესიულ დაავადებათა პრევენციის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 35 03 02 05) ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 5 ერთეულით;

ე) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტების

ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 90 ერთეულით, ხოლო საშუალო შრომის ანაზღაურება – არა უმეტეს 4 000 ლარით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 თებერვლის №342 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**